



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყრველკვირეული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**

N 07, 2024

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
Shell-ის 2024 წლის პროგნოზი: გლობალური მოთხოვნა LNG-ზე გაორმაგდება 2040 წლისთვის .....	2
ერაყი და ყაზახეთი პირობას დებენ დაიცვან OPEC+-ის პირობები 2024 წლის იანვარში წარმოების მიზნების გადაჭარბების შემდეგ.....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
CFD-ის II აუქციონზე შემოსული განაცხადების სიმძლავრე გამოცხადებულს 1077 მგვტ-ით აღემატება - ეკონომიკის სამინისტრო.....	3
EBRD-ი ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის 28 მლნ ევროს გამოყოფს.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
დავითაშვილი: ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას, რომ ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი და ნეტო-ექსპორტიორი გახდეს.....	4
გერმანია ენერგოტრანზიციის სუბსიდირებისთვის €4 მილიარდს გამოყოფს .....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი და იუნისეფი იწყებენ თანამშრომლობას განახლებადი ენერჯიის, კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრის მიზნით .....	6
რომელი ქვეყნები გამოიმუშავენ ნახშირბადის ყველაზე მეტ ემისიას .....	7
ლონისძიებები .....	8

## ნავთობი და გაზი

### Shell-ის 2024 წლის პროგნოზი: გლობალური მოთხოვნა LNG-ზე გაორმაგდება 2040 წლისთვის

გლობალური მოთხოვნა თხევად ბუნებრივ აირზე (LNG) სავარაუდოდ გაიზრდება 50%-ზე მეტით 2040 წლისთვის, რადგან მრეწველობის გადასვლა ქვანახშირიდან გაზზე ჩქარდება ჩინეთში და სამხრეთ აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, სადაც უფრო მეტ LNG-ს იყენებენ თავიანთი ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, Shell-ის 2024-ის პროგნოზის მიხედვით.

LNG-ით გლობალურმა ვაჭრობამ 2023 წელს მიაღწია 404 მილიონ ტონას, მაშინ როცა 2022 წელს ეს მაჩვენებელი 397 მილიონი ტონა იყო, ამასთან LNG-ის შეზღუდული მარაგები ზღუდავს ზრდას, ხოლო ფასები და მათი ცვალებადობა ისტორიულ საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. ბუნებრივ აირზე მოთხოვნამ უკვე პიკს მიაღწია ზოგიერთ რეგიონში, მაგრამ აგრძელებს გლობალურ ზრდას, ხოლო LNG-ზე მოთხოვნა, სავარაუდოდ, მიაღწევს დაახლოებით 625-685 მილიონ ტონას წელიწადში 2040 წელს, დარგის ბოლო შეფასებებით.

„ჩინეთი სავარაუდოდ იქნება დომინანტი LNG-ზე მოთხოვნის ზრდაში ამ ათწლეულის განმავლობაში, რადგან მისი ინდუსტრია ცდილობს შეამციროს ნახშირბადის ემისიები ნახშირიდან გაზზე გადასვლის გზით“, - თქვა სტივ ჰილმა, Shell Energy-ის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა. „ჩინეთში ქვანახშირზე დაფუძნებულ ფოლადის სექტორს უფრო მეტი ემისია აქვს, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს, გერმანიასა და თურქეთს ჯამურად, გაზს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ნახშირბადის ემისიებისა და ჰაერის დაბინძურების მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი წყაროს პრობლემის დაძლევაში.

წყარო: worldoil.com - <https://cutt.ly/bwBpw1OW>

### ერაყი და ყაზახეთი პირობას დებენ დაიცვან OPEC+-ის პირობები 2024 წლის იანვარში წარმოების მიზნების გადაჭარბების შემდეგ

ერაყმა და ყაზახეთმა პირობა დადეს, რომ შეასრულებენ OPEC+-ის ახალ მიზნებს მას შემდეგ, რაც ვერ შეძლეს პირობის თანახმად შეემცირებინათ მოპოვება გასულ თვეში.

OPEC + ალიანსი, რომელსაც საუდის არაბეთი ხელმძღვანელობს, დათანხმდა შეემცირდეს წარმოება პირველი კვარტლის განმავლობაში, რათა თავიდან აიცილონ ნავთობის გლობალური ჭარბი მიწოდება და გაზარდონ ფასები. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქვეყანამ, როგორც ჩანს, დააკმაყოფილა ეს პირობა, ბაღდადი და ასტანა კვლავ დამნაშავეები არიან.

ყაზახეთის ენერჯეტიკის სამინისტრომ აღიარა, რომ მან იანვარში ზღვარს გადააჭარბა და პირობა დადო, რომ "მოახდენს გადაჭარბებული მოცულობის კომპენსაცია მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში". განცხადებაში არ იყო მითითებული წარმოებული ჭარბი რაოდენობა.

მისმა კოლეგამ ერაყში გამოაქვეყნა ოდნავ უფრო ნიუანსირებული განცხადება, დაჰპირდა, რომ განიხილავს მისი წარმოების გარე შეფასებებს და აანაზღაურებს ნებისმიერ სიჭარბეს,

ასევე ოთხი თვის განმავლობაში. ქვეყანა წარსულში ექვეყნებდა OPEC-ის შეფასებებს მისი წარმოების შესახებ.

წყარო: worldoil.com - <https://cutt.ly/0wBpw4mW>

## ელექტროენერგეტიკა

### CFD-ის II აუქციონზე შემოსული განაცხადების სიმძლავრე გამოცხადებულს 1077 მგვტ-ით აღემატება - ეკონომიკის სამინისტრო

განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის მეორე აუქციონში სამინისტროში შესული განაცხადების სიმძლავრე გამოცხადებულს 1077 მგვტ-ით აღემატება - ამის შესახებ ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, 16 თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის აუქციონის კომისიის სხდომა გაიმართა, რომელზეც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დახურული სახით წარმოდგენილი წინადადებები გაიხსნა და მათი შესწავლა დაიწყო.

სხდომას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ვახტანგ ცინცაძე ხელმძღვანელობდა. კომისიაში მონაწილეობდნენ ფინანსთა მინისტრის მოადგილე მირზა გელაშვილი, სხვა სამთავრობო უწყებებისა და სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენლები.

„სიმძლავრის რიგით მეორე აუქციონში, რომელიც ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2023 წლის 30 დეკემბერს გამოაცხადა, დახურული სახით შემოსული წინადადებების გახსნის შედეგად 1877 მგვტ ჯამური სიმძლავრის 147 პროექტი შემოვიდა, რაც 1077 მგვტ - ით მეტია აუქციონით გამოცხადებულ მაჩვენებელზე“, - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სიმძლავრის მეორე აუქციონის ჯამური დადგმული სიმძლავრე 800 მგვტ-ს შეადგენს. აუქციონის სიმძლავრე გადანაწილდა შემდგომ კატეგორიებში:

- ჰიდროელექტროსადგურები (მარეგულირებელი) - 300 მგვტ.;
- ჰიდროელექტროსადგურები (მოდინებაზე) -100 მგვტ.;
- ქარის ელექტროსადგურები - 125 მგვტ.; მზის ელექტროსადგურები -125 მგვტ.;
- ქარის ელექტროსადგურები (ენერჯის შემნახველი მოწყობილობებით) - 70 მგვტ.;
- მზის ელექტროსადგურები (ენერჯის შემნახველი მოწყობილობებით) - 70 მგვტ.;
- სხვა განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურები - 10 მგვტ.

CFD-ის მეორე აუქციონზე გამოტანილია ე.წ. მარეგულირებელი ჰიდროსადგურებიც, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაზრდას, ასევე მზისა და ქარის სადგურები ენერჯის შემნახველი მოწყობილობებით, რაც დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარანტიაა.

შერჩეული პროექტები სახელმწიფოს მხრიდან ფასის გარანტიით იქნება დაზღვეული, რაც, საბოლოოდ, ენერგოსექტორში 2 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობებს შექმნის.

პირველ აუქციონში, რომელიც გამოცხადებული იყო 300 მგვტ სიმძლავრეზე, შემოვიდა 78 განაცხადი, ჯამურად 900 მგვტ-ზე მეტ სიმძლავრეზე. მასში გამარჯვებულად 27 კომპანია გამოვლინდა. მხოლოდ ამ 300 მგვტ-ში 400 მლნ დოლარის ინვესტიცია იქნება განხორციელებული.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/TwBpepbE>

## EBRD-ი ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის 28 მლნ ევროს გამოყოფს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ენგურჰესის, საქართველოში უდიდესი ელექტროსადგურის მოდერნიზაციისა და რეაბილიტაციისთვის 28 მილიონ ევროს გამოყოფს. EBRD-ის ინიციატივას ემატება დამატებით ევროკავშირის გრანტი 7.05 მილიონი ევროს ოდენობით.

EBRD-ის მიერ გამოყოფილი თანხები მიმართული იქნება ენგურჰესის კაშხლის სტრუქტურულ მთლიანობასთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხების გადასაჭრელად, მიწისქვეშა გვირაბებისა და მილსადენების შეკეთებისთვის. ამასთანავე, გამოყოფილი თანხა ხელს შეუწყობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობას.

„1970-იან წლებში აშენებული ენგურჰესი, ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად, ქმნის მნიშვნელოვან ენერგეტიკულ კომპლექსს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ელექტროენერჯის მოთხოვნის დაახლოებით 30%-ს და გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობის მამოძრავებელ საქმეში“, - აღნიშნულია water power magazine-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცნობისთვის, მთლიანობაში, EBRD-მა, თავის დონორებთან თანამშრომლობით, 1998 წლიდან დღემდე გამოყო დაახლოებით 205 მილიონი ევრო ენგურის ქარხნის განვითარებისთვის. EBRD-მა ჯამში 290 პროექტში 5 მილიარდ ევროს ინვესტიცია განახორციელა (ძირითადად, კერძო სექტორში).

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/LwBpezu6>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### დავითაშვილი: ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას, რომ ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი და ნეტო-ექსპორტიორი გახდეს

ენერგეტიკის სფეროს კურატორი მე ვიქნები. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ამაზე მაღალი ლეგიტიმაცია ენერგეტიკის სფეროს ვერ ექნებოდა. როდესაც პირადად, ამ შემთხვევაში, ქვეყნის პირველი ვიცე-პრემიერი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ხელმძღვანელობს დარგს, ესეც არის დემონსტრირება იმისა, რომ ენერგეტიკის სფერო ჩვენთვის ძალიან პრიორიტეტულია, - განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა

და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე.

როგორც პირველმა ვიცე-პრემიერმა განაცხადა, საქართველოს მთავრობის გაცხადებული პოლიტიკაა ენერგეტიკის სფეროს პრიორიტეტულობა და ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური განვითარება.

„ამ შემთხვევაში, ჩვენი სამინისტრო იქნება ამაზე პასუხისმგებელი. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას იმ მიზნის მისაღწევად, რომ ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი და ნეტო-ექსპორტიორი გახდეს და ის მნიშვნელოვანი ძვრები, რომლებიც ბოლო წლებში დაიძრა, არა თუ შენელებს, არამედ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით გაგრძელდეს და იმ მიზნებს მივაღწიოთ, რაც დასახული გვაქვს,“ - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა. მისი თქმით, რაც შეეხება ცალკე უწყების არსებობის საჭიროებას, იმ შემთხვევაში, თუ სწორად ხდება დარგის მართვა, ამაზე მეტი შედეგის მიღწევა ენერგეტიკისთვის შეუძლებელია, როდესაც ის არის ძალიან ძლიერი სამინისტროს ნაწილი. „ეს ამარტივებს კოორდინაციას სხვადასხვა უწყებასთან. ამა თუ იმ სექტორის განვითარებას საჭიროება ბევრი მომიჯნავე სფეროსთან კოორდინაცია, იქნება ეს სახელმწიფო ქონების განკარგვის საკითხები და ა.შ., ეს ყველაფერი საჭიროებს ძლიერ პორტფელში ყოფნას.

ჩვენი გადაწყვეტილება ცალსახაა, რომ ენერგეტიკას კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ. ისეთი კონსოლიდირებული სამინისტროები, როგორცაა ეკონომიკის სამინისტრო, როგორც წესი, იძლევა საშუალებას, რომ ამა თუ იმ სფეროსთვის იყოს მეტი რესურსი, მეტი კოორდინაცია და ეს ყველაფერი არის მოქნილობის საფუძველი, რომ სფერო უფრო წარმატებით განვითარდეს,“ - განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/XwBpeW0a>

## გერმანია ენერგოტრანზიციის სუბსიდირებისთვის €4 მილიარდს გამოყოფს

გერმანიის მთავრობა ენერგოინტენსიური კომპანიების მწვანე ენერგიაზე გადასვლის ხელშეწყობისთვის სუბსიდიების სახით €4 მილიარდს გამოყოფს - ამის შესახებ Reuters-ს მთავრობის წარმომადგენელმა განუცხადა.

გერმანია ამბიციური გეგმის ფარგლებში, ქვეყანამ 2045 წლამდე სრულად ნახშირბად ნეიტრალური გახდეს, ბერლინი ფოლადის, შუშის, ქაღალდის თუ ქიმიკატების მწარმოებელი კომპანიებისთვის განახლებად ენერჯის წყაროზე გადასვლაში დახმარებას აპირებს. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, წარმოებაში ნახშირბადის ემისიების შესამცირებლად მწარმოებლები 15-წლიან სუბსიდიას მიიღებენ.

მინისტრის განცხადებით, ევროპულმა კომისიამ მხარი დაუჭირა გერმანიის სუბსიდირების ინსტრუმენტებსაც, შესაბამისად, დაფინანსების პირველი ეტაპი სულ მალე დაიწყება.

სუბსიდირების პროგრამისთვის კომპანიები ერთგვარი აუქციონის წესით შეირჩევიან, იმის მიხედვით, თუ რომელი კომპანია შეძლებს ემისიების ყველაზე მეტად შემცირებას, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით.

Reuters-ს წყარომ დაუდასტურა, რომ პირველი ტენდერი გაზაფხულში გამოცხადდება და სწორედ მისთვის გამოიყოფა €4 მილიარდი, ტენდერების მორიგი რაუნდი კი წლის ბოლოსთვის ჩატარდება.

“კლიმატის დაცვის კონტრაქტის” ფარგლებში კომპანიებისთვის კომპენსაცია ნებისმიერ დამატებით ხარჯზე გაიცემა, რომელიც მათ მწვანე წარმოებაზე გადასვლისთვის გაიღეს. საუბარია ინდუსტრიებზე, რომლებშიც ეკომეგობრული წარმოების პროცესი არც თუ ისე კონკურენტულია.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/zwBpeFD6>

## კლიმატის ცვლილება

### ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი და იუნისეფი იწყებენ თანამშრომლობას განახლებადი ენერჯის, კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრის მიზნით

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკ) არსებულ ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრში ახალი ინიციატივა იწყება, რომლის ფარგლებშიც განახლებადი ენერჯის შესახებ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების მოსწავლეები აიმაღლებენ ცნობიერებას განახლებადი ენერჯის როლის შესახებ კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრის საქმეში.

ინიციატივის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობაში განახლებადი ენერჯის, კლიმატის ცვლილებებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდა, პრობლემების მოგვარების კუთხით შესაბამისი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

პროექტი განხორციელდება სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის და იმერეთის რეგიონების მუნიციპალიტეტებში, 35 სკოლის 500-მდე მოსწავლისთვის. პროექტის ფარგლებში მოსწავლე ახალგაზრდებს ჩაუტარდებათ ტრენინგები და საჯარო ლექციები. პროექტის ხანგრძლივობაა 8 თვე.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით ენერგეტიკის სასწავლო ცენტრში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით: „სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ რეგიონების მოსწავლე ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება“. პროექტის შედეგად საქართველოს რეგიონების 300-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო ცოდნა წყლის რესურსებზე ზრუნვისა და დაცვის, ენერგოეფექტიანობისა და ენერჯის დაზოგვის საკითხებზე.

**სასწავლო ცენტრის შესახებ:** საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკ) არსებული ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის მიზანია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგებისა და მელიორაციის სექტორების აქტუალურ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სპეციალური სასწავლო კურსების/პროგრამების განხორციელება, ქალთა

ჩართულობის ზრდა ენერგეტიკის სექტორში, სკოლის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება და სხვა. ენერგეტიკის სასწავლო ცენტრში დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაიარონ სასწავლო კურსები ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგებისა და მელიორაციის, სატარიფო რეგულირების შესახებ.

**გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ:** გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 70 წელზე მეტია მუშაობს მსოფლიოს ყველაზე რთულ რეგიონებში, რათა დაეხმაროს მსოფლიოს ყველაზე მოწყვლად ბავშვებს. 190-ზე მეტ ქვეყანასა და ტერიტორიულ ერთეულში, ჩვენ ვმუშაობთ ყოველი ბავშვისთვის ყველგან, რათა ავაშენოთ უკეთესი მსოფლიო ყველასთვის. იუნისეფი 20 წელზე მეტია ეხმარება ეხმარება საქართველოს მთავრობას ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ყველაზე დაუცველ ბავშვებს, ხელი შევუწყოთ მათ გაძლიერებასა და სოციალურ ინკლუზიას, შევამციროთ უთანასწორობა, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ბავშვებსა და მათ ოჯახებზე.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/LwBpeXZf>

## რომელი ქვეყნები გამოიმუშავენ ნახშირბადის ყველაზე მეტ ემისიას

სათბურის ეფექტი, რომელიც დედამიწაზე სიციცხლისთვის საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებაზეა პასუხისმგებელი, წიაღისეული საწვავის წვასთან ერთად, რასაც თან ნახშირბადის ემისიებს გამოყოფა ერთვის, გაცილებით ინტენსიური ხდება. ეფექტის გაძლიერება კი პლანეტის კლიმატში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს.

პლატფორმა Global Carbon Atlas-ის კვლევის თანახმად, დედამიწის ატმოსფეროში არსებული ნახშირბადის ემისიების თითქმის 1/3-ზე პასუხისმგებელი ჩინეთია, რომელსაც ინდოეთი და აშშ-ი მოსდევს. აღსანიშნავია, რომ ბოლო მონაცემებით, ეს სამი ქვეყანაზე გლობალური ემისიების 52%-იანი წილი მოდის - ისინი მოსახლეობის რაოდენობითაც გამოირჩევიან.

10 ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტ CO<sub>2</sub>-ს გამოიმუშავებს:

1. ჩინეთი - 30.9%
2. ამერიკის შეერთებული შტატები - 13.5%
3. ინდოეთი - 7.3%
4. რუსეთი - 4.7%
5. იაპონია - 2.9%
6. ირანი - 2%
7. გერმანია - 1.8%
8. საუდის არაბეთი - 1.8%
9. ინდონეზია - 1.7%
10. სამხრეთ კორეა - 1.7%

რაც შეეხება ნახშირბადის ემისიების წილს ერთ სულ მოსახლეზე, ამ მხრივ აშშ ლიდერობს - 15.32 მეტრული ტონით, მაშინ როცა ჩინეთისა და ინდოეთის ანალოგიური მაჩვენებელი 7.44 და 1.89 ტონაა.



ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, აშშ-მ დედამიწის ატმოსფეროში 422 მილიარდი მეტრული ტონა CO2 გაუშვა, რაც რეკორდული მაჩვენებელია და ინდუსტრიული აქტივობისა და წიაღისეული საწვავის წვით გამომუშავებული ნახშირბადის მეოთხედს უტოლდება.

აღსანიშნავია, რომ ატმოსფეროს დაბინძურებაში პასუხისმგებელი ქვეყნების უმრავლესობას უკვე აქვს სამოქმედო გეგმა შემუშავებული, რომლის ფარგლებშიც მომდევნო ათწლეულის მანძილზე ნახშირბადის ემისიებს შეამცირებენ. აშშ 2050 წლამდე წმინდა ნულოვან ნიშნულამდე ჩამოსვლას გეგმავს - ამავეს აპირებს ჩინეთი 2060 და ინდოეთი - 2070 წლამდე.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/cwBpe7BH>

## ღონისძიებები

[ვებინარი - ენერგოეფექტურობის ინტეგრირება ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმების საბოლოო განახლებაში](#)

29 თებერვალი, 2024 წ.

ორგანიზატორი: IEECP - ევროპის ენერგეტიკისა და კლიმატის პოლიტიკის ინსტიტუტი  
განსახილველი თემები: ენერგოეფექტურობა, NECP

კონფერენცია - [მდგრადი ენერგეტიკის მსოფლიო დღეები 2024](#)

თარიღი: 05–08 მარტი, 2024

ორგანიზატორი: ÖEnergiesparverband

ადგილი: Stadthalle, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ენერგეტიკული გადასვლა, კლიმატ-ნეიტრალობა, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია, ბიოენერჯია, ენერგეტიკული პოლიტიკა, მრეწველობა, ე-მობილობა, შენობები, დაფინანსება, ტექნოლოგიები

[GlobalMethaneForum 2024](#) - მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ჟენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO2-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია